საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“.

# მიგრანტი

№10 / 2016



# „ინტელექტმა“ პირველი გრანტი გასცა

**პროექტის – „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ ეკოლოგიური და შრომითი მიგრანტების შესაძლებლობების გაძლიერების, გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი ცხოვრების ღირსეული პირობების ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით პირველი გრანტი უკვე გასცა.**

**მცირე საგრანტო კონკურსი ორგანიზაციამ 2015 წლის სექტემბერში გამოაცხადა. პირველ ეტაპზე „ინტელექტში“ 20 ბიზნესგეგმა შემოვიდა. განაცხადები სპეციალურმა კომისიამ განიხილა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ბიზნესიდეის რეალისტურობა; არსებული მდგომარეობის შეფასება; პროდუქტის აღწერა; ბიზნესის განხორციელების პოტენციური ადგილი და გაყიდვების გეოგრაფია; მართვის პოტენციალი; ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პერსპექტივები; სამოქმედო გეგმა; ფინანსური დაგეგმარება; მდგრადობა.**

**პირველი გრანტი „ინტელექტისგან“ შრომითმა მიგრანტმა ქალბატონმა ნარგიზ დუმბაძემ მიიღო საოჯახო სასტუმროს გასაძლიერებლად.**



ნარგიზ დუმბაძე

## ნარგიზ დუმბაძე – შრომითი მიგრანტი

ქალბატონი ნარგიზი ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სახალვაშოში ცხოვრობს ოჯახთან ერთად. ბიოლოგიის მასწავლებელი სოფლის მეურნეობის განვითარებასაც ახერხებს. უვლის ბაღჩას, მოჰყავს ბოსტნეული, ჰყავს პირუტყვი და რძის პროდუქტებსაც ამზადებს. ნარგიზი დიასახლისობასთან ერთად კარგი მასპინძელიცაა და არც სტუმრებისა და ტურისტების რაოდენობას უჩივის. როგორც ამბობენ, მისი სახლის კარი ყოველთვის ღიაა!

შრომისმოყვარე ქალბატონმა უკვე საოჯახო სასტუმროს განვითარებაზე დაიწყო ფიქრი. დღემდე ოთხი ოთახი გამოყო ამ საქმისთვის და ერთდროულად რვა პერსონის მიღება შეუძლია. საქმის დასაწყებად ფული რომ ეშოვა, ბოლო ხუთი ზაფხული შვილთან ერთად თურქეთის რესპუბლიკაში გაატარა. იქ თხილს კრეფდა და ჯერ კოსმეტიკური რემონტის ჩასატარებლად საჭირო მასალებს იძენდა, მერე კი თეთრეულებს, პირსახოცებსა და სხვა ნივთებს – საოჯახო სასტუმროს აღსაჭურვად.

ნარგიზ დუმბაძე: „თურქეთში სამუშაოდ წასვლის მსურველთა ჯგუფები წინასწარ დგება და სად წახვალ ისიც წინასწარ არის ცნობილი, თუმცა უცხო ქვეყანაში მუშაობა მაინც ძალიან რთულია. დამსაქმებლები კარგად გვექცევიან, მაგრამ მძიმე სამუშაოა. თხილი ხეზეც უნდა დაკრიფო და ხის ძირშიც, დარშიც და ავდარშიც... მე ძირითადად სამზარეულოში ვიყავი, მაგრამ იყო შემთხვევები, რომ გავდიოდი თხილის პლანტაციაშიც. სამუშაო დღე ძალიან დიდია, 10 საათი მინიმალურია, შეიძლება 12 საათიც გამუშაონ დღეში. აღებული კაპიკები ამდენ წვალებად არ ღირს, მაგრამ როცა ალტერნატივა არ გაქვს, იძულებული ხარ, დათანხმდე. პირველად რომ წავედი, დღიური ანაზღაურება 25 ლარი იყო, ბოლო წასვლაზე კი – 50.

თურქეთში იმიტომ წავედი, რომ სასტუმრო გამეკეთებინა. მეოთხე სეზონია რაც სტუმრებს ვიღებ. გაფართოება და ცოტაოდენი კომფორტის მოწყობა მინდა. თურქეთში აღებული თანხა არ იყო ბევრი, მაგრამ თეთრეულების შეძენა შევძელი, პირსახოცების, ჰიგიენური საშუალებების... დღეისთვის ოთხი საძინებელი მაქვს და 8-10 კაცის მიღება შემიძლია. როცა ერთ ოთახში ათავსებ 2-3 პიროვნებას, დაახლოებით 22 ევროს გიხდიან. სხვადასხვა ოთახში თანხა გაცილებით მაღალია, 30 ევრო, მომსახურება კი იგივეა (ფასს თავად ტურისტული სააგენტო გვიდგენს). დრო გათვლილი მქონდა. თურქეთიდან იმ დროს ჩამოვდიოდი, როცა ფრინველების გადაფრენის სეზონი იწყებოდა.

ორგანიზაცია „ინტელექტის“ გრანტი დიდი დახმარება იქნება ჩემთვის. ამით შევძლებ დავამატო საძინებელი ოთახების რაოდენობა და შევქმნა შედარებით უკეთესი კომფორტი.

ჩვენთან ძირითადად ფრინველების მიგრაციაზე დასაკვირვებლად მოდიან მეცნიერები გერმანიიდან, ჰოლანდიიდან, თურქეთიდან, პოლონეთიდან, საფრანგეთიდან... მოდიან აგრეთვე სტუდენტები (ბიოლოგიის ფაკულტეტის) და მოყვარული ფოტოგრაფები. ზღვის სეზონზე სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ჩამოდიან ტურისტები, ერთხელ ირანიდანაც გვყავდა...

სამეზობლოში ყველა სახლი გათვალისწინებულია ოჯახისთვის. არც ერთს არა აქვს შესაძლებლობა ერთდროულად ტურისტების ჯგუფი მიიღოს. არის მოთხოვნა 12-16-კაციან ჯგუფებზე. როცა სახლს ბოლომდე კეთილმოვაწყობ, შევძლებ დიდი ჯგუფების მიღებას.

„ინტელექტისგან“ მიღებული თანხით სახლის ნაწილს მოვაწყობ, ნაწილი დამრჩება და შემდეგი სეზონისთვის გავაკეთებ. მერე ერთდროულად 22 კაცის მიღებას შევძლებ.“

## „ბათუმის ბოთლის ყელი“ – ფრინველთა სამიგრაციო დერეფანი

ქობულეთის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელი სახალვაშო ზღვის დონიდან დაახლოებით 150 მეტრზე მდებარეობს, სახალვაშოდან ზღვამდე კი მოქალაქემ 2,5 კმ უნდა გაიაროს, ულამაზესი ხედით, ნოტიო ჰაერით, ზღვის სუნით, ტალღების ხმაურით და დაისით რომ დატკბეს. აჭარის სხვა სოფლებისგან სახალვაშო იმითაც გამოირჩევა, რომ სოფელში შესულს თითოეული ოჯახის მინიშნება დაგხვდებათ ქართულ და ინგლისურ ენებზე. სასურველ ოჯახს მარტივად იპოვით და გაზაფხულსა და შემოდგომაზე ბევრ ტურისტსაც შეხვდებით.

სახალვაშოდან, როგორც იტყვიან ხოლმე, ხელისგულივით მოჩანს ქობულეთი, ჩაქვი, მტირალას ეროვნული პარკი და ზღვაც. ეს საუცხოო ხედები იზიდავს უცხოელ ტურისტებს, თვალს სტაცებს ქართველს და ეკონომიკურად აძლიერებს ადგილობრივებს. დაახლოებით 17 ოჯახს აქვს საოჯახო სასტუმრო.

სოფელი სახალვაშო ცნობილია როგორც ფრინველთა სამიგრაციო დერეფანი. მას ბათუმის ბოთლის ყელსაც უწოდებენ. ფრინველები შემოდგომაზე თავს სამიგრაციო ზოლში – სახალვაშოში იყრიან, გუნდ-გუნდად მიფრინავენ თბილ ქვეყნებში და უკანაც იმავე მარშრუტით ბრუნდებიან. მდინარე ჭოროხის დელტაზე გადაიფრენენ მტაცებელი ფრინველები – ველის არწივი, ჩია არწივი, გველიჭამია არწივი, ძერა, ქორი, ძელქორი და კრაზანაჭამია.

სახალვაშოელები ამბობენ, რომ „საინტერესო სანახავია ფრინველთა მიგრაცია, ტრიალებენ, ჭიკჭიკებენ... შარშან მთელი გუნდი უკან მობრუნდა ზღვიდან ცუდი ამინდის გამო. ტურისტებიც გაოცდნენ, არ ელოდნენ. 2014 წელს ჩვენთან ფრინველების რეკორდული რაოდენობა დაფიქსირდა. როგორც მთვლელებმა გვითხრეს, მილიონზე მეტმა ფრინველმა გადაუფრინა ჩვენს სოფელს.“

გადამფრენი მფრინველების მთვლელები (უცხოელები) სახალვაშოში აგვისტოს დასაწყისში ჩამოდიან და ოქტომბრის ბოლომდე რჩებიან. მათთვის სოფელში სპეციალური შემაღლებული ადგილია გამოყოფილი.

## შრომითი მიგრანტის საოჯახო სასტუმრო სახალვაშოში

ნარგიზ დუმბაძის საოჯახო სასტუმროში ნომრის ღირებულებაში საუზმე და ვახშამიც შედის. ამზადებს ე.წ. „ლანჩ-პაკეტებს“ და მასთან მცხოვრებ ეკოტურისტებს თან ატანს ფრინველებზე დასაკვირვებლად წასულებს. მენიუ ტურისტების გემოვნებაზეა მორგებული, მაგრამ შიგადაშიგ ქართულ კერძებსაც სთავაზობს. როგორც თავად ამბობს, ქართული სამზარეულო დიდ მოწონებას იმსახურებს.

სახლს ოთხივე მხრიდან აივნები აქვს, რათა ეკოტურისტებს დასაკვირვებლად მაქსიმალური კომფორტი ჰქონდეთ. სახალვაშოში აივანი ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნაა.

ტურისტებთან ურთიერთობაში ოჯახს და მთელ სამეზობლოს ნარგიზ დუმბაძის შვილი, 22 წლის თამარი ეხმარება. იგი ინგლისური ენის მასწავლებელია და უცხოელებისთვის გიდის ფუნქციებსაც ითავსებს. საჭიროების შემთხვევაში ეკოტურისტებს დოკუმენტაციასაც უთარგმნის.

გასეირნების მსურველებს ოჯახის უფროსი მურმან დუმბაძე საკუთარი მიკროავტობუსით ემსახურება: „გადამყავს მტირალაზე, ჩაისუბანში, შუამთაში (აქ ფრინველებზე დაკვირვების ცენტრია), ჭოროხზე, ბათუმში ანბანის კოშკთან, ზღვის სანაპიროზე, ბოტანიკურ ბაღში, ჩაქვის წყალთან, ქობულეთში ისპაჰანის ჭაობთან, ფოთში მალთაქვის სანაპიროზე და პალიასტომის ტბაზე. მარშრუტს თავად ადგენენ და მეც მათ სურვილს ვემორჩილები.“

ნარგიზ დუმბაძე ცდილობს ტურისტებს მასთან ყოფნისას ქართული კულტურა გააცნოს და წასვლისას თავისივე ხელით გაკეთებული ნიგვზის მურაბით, ტყლაპითა და ჩურჩხელებით ასაჩუქრებს.

## სამუშაო ადგილები მიგრანტებისთვის

საოჯახო სასტუმროს გაფართოებასთან ერთად ნარგიზ დუმბაძეს დამატებითი მუშახელი დასჭირდება. როგორც თავად ამბობს, სეზონურად ორ მიგრანტ ქალბატონს დაასაქმებს.

„მადლობელი ვარ ორგანიზაცია „ინტელექტის.“ აქ მარტო გრანტი კი არ მომცეს, ტრენინგიც ჩამიტარეს და მასწავლეს როგორ ვმართო ჩემი მცირე ბიზნესი. „ინტელექტის“ თანამშრომლები დამეხმარნენ ბიზნესგეგმის შედგენაშიც.

ეს თანხა არ არის ისეთი დიდი, რომ თავიდან დაიწყო ბიზნესი, მაგრამ ჩემს შემთხვევაში შეიძლება დიდად წავწიო საქმე წინ. ალბათ თურქეთში რამდენიმე წელი მუშაობა არ იქნებოდა საკმარისი ამ თანხის დასაგროვებლად და ასეთი დიდი ნაბიჯის გადასადგმელად.

მინდა, ყველა შრომით მიგრანტს ვუთხრა, რომ თუ ადამიანი გულისხმიერებით მოეკიდება საქმეს, აქ, საქართველოშიც, შეიძლება რაღაცის გამონახვა, წარმოება... ვურჩევ, ჩაერთონ პროექტში „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში.“ ვაკეთოთ საქმე საქართველოში და თუ კი შევძლებთ, სხვებიც გადავარჩინოთ შრომითი მიგრაციისგან.

P.S. ნარგიზ დუმბაძე გაზაფხულის სეზონზე პირველ ეკოტურისტებს პირველ მაისს ელოდება. საოჯახო სასტუმროში ჯავშანი რვა ნომერზე აქვს.

„ინტელექტი“ ბიზნესგანაცხადების მიღებას კვლავ აგრძელებს. პროექტის – „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში სულ 16 ინდივიდუალურ მცირე ბიზნესს და 3 სოციალურ საწარმოს დააფინანსებს.

**ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში.**
**ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.**

**ჩანართის რედაქტორი:**
**თეონა კაკაციძე**
**მისამართი:** ბათუმი, ალმაშენებლის 13
**ტელ:** 24 16 40; **ფაქსი:** 24 16 50
**მობ:** 592 57 18 00
**ელფოსტა:** info@intellect.org.ge
**ვებგვერდი:** www.intellect.org.ge